„დედაენის“ შექმნის სათავეებთან

13 აპრილს, 11:00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება გამოფენა „დედაენის“ შექმნის სათავეებთან.

გამოფენა გახსნის დედა ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ციკლს, რომელიც დაგეგმილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება “დედაენისთვის” შექმნილი ლექსებისა და მოთხრობების ავტოგრაფები, გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისათვის შემქნილი ოსკარ შმერლინგისეული ილუსტრაციების ორიგინალები, იაკობისა და მისი თანამედროვე მოღვაწეების მიმოწერა “დედაენის” შექმნის პროცესთან დაკავშირებით, პირველნაბეჭდი “დედაენა”, ანბანის პირველი ბეჭდური გამოცემა - 1629 წელს რომში დაბეჭდილი “ქართულ-იტალიური ლექსიკონი”, აფხაზური “დედაენა” - რეპრესირებული წიგნი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის არქივს შემორჩა, მიძღვნითი წარწერით გამომცემელთაგან, “დედაენის” 1920 წლის გამოცემის სტამბური კლიშეები და სხვ.

ექსპოზიციას ვიზუალურად და შინაარსობრივად შეავსებს საინფორმაციო ბანერები თემებით: “პედაგოგიკის მამამთავარი”, “ღერძი ეროვნებისა”, “ლაზათიანი, მოსაწონი ქართული ხელი”, ჩუმი ქველმოქმედი”, “მოქალაქეობა”, “რეცენზიები”.

გამოფენის მიზანია დედაენის დღესთან დაკავშირებით, იაკობის პედაგოგიკური ნააზრევის კიდევ ერთხელ წარმოჩენა. ჩვენება იმისა, რომ გოგებაშვილის პედაგოგიკური ნააზრევი, ეპოქასთან შესაბამისობაში, დღესაც ძალიან აქტუალურია; ამ ნააზრევის თვალის მიდევნება

პირველწყაროების მეშვეობით გამორჩეულად საინტერესოა, რადგან სტრიქონებს შორის, სამუშაო ვერსიებში ხშირად არის ის, რაც აკადემიურ გამოცემებში ვერ ხვდება.

მნახველს საშუალება ექნება უფრო ახლოდან გაიცნონ გოგებაშვილის პირადი არქივი, მისი ავტოგრაფები, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, როგორც უნიკალური ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი.